



საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო

კომუნიკაციის სტრატეგია (2018-2020 წწ.)



ბრიტანეთის საელჩო
თბილისი

სტრატეგია მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პროგრამის ფარგლებში, ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა	2
1. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.....	3
2. საკომუნიკაციო მისია და ხედვა.....	4
3. კომუნიკაციის პრინციპები	4
4. მთავარი ამოცანები.....	5
5. სამიზნე აუდიტორია და საკომუნიკაციო არხები	6
6. მთავარი თემები.....	7
7. მთავარი აქტივობები.....	8
8. მონიტორინგი და შეფასება.....	9

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი¹ შემუშავებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პროგრამის - „ინკლუზიური და ანგარიშვალდებული სამთავრობო ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით და მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერა და მისი ინსტიტუციური გაძლიერება.

სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საკომუნიკაციო მისიას და ხედვას, კომუნიკაციის მიზნებს, პრინციპებსა და ამოცანებს. დოკუმენტის შემუშავებისას გაანალიზდა არსებული მდგომარეობა, მათ შორის საინფორმაციო გარემო, და წარმოჩინდა ის გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლის წინაშეც დგას საბჭო კომუნიკაციის კუთხით.

სტრატეგიაში განხილულია მთავარი თემები, გაწერილია კომუნიკაციის არხები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ ჯგუფთან.

სტრატეგიაში გამოვლენილ მოთხოვნებზე და საჭიროებებზე დაყრდნობით შემუშავდა გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ.). მასში დეტალურად და შესაბამისი ამოცანების მიხედვით არის გაწერილი აქტივობები, რომელთა თანმიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოს კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვას (იხ. დანართი 1).

¹ აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და მისი გადახედვა და განახლება უნდა მოხდეს საჭიროების მიხედვით, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

1. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტში 2004 წლიდან მოქმედებს *გენდერული თანასწორობის საბჭო*, რომელიც პარლამენტის მუდმივმოქმედ ორგანოდ 2010 წელს, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის² მიღებისა და პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ ჩამოყალიბდა.

თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, საბჭოს დებულებით³ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სხვა აქტებით. საბჭო აგრეთვე უფლებამოსილია, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ურთიერთობებში⁴.

დებულების თანახმად, საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

- საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი;
- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

2017 წლის იანვრიდან, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, საბჭოს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ამავე პერიოდში დამტკიცდა საბჭოს ახალი, გაფართოებული შემადგენლობა, რომელშიც 17 წევრი შედის. საბჭო დაკომპლექტებულია მეცხრე მოწვევის პარლამენტში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლისგან. გენდერული თანასწორობის საბჭოს

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 11. თანასწორობის უფლება

„1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, სავაჭრო-სააღმოსავლეთი ან სხვა ნიშნის მიხედვით.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“

² საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. წყარო:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

³ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-debuleba>

⁴ გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, II. მუხლი 6. წყარო:

<http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-debuleba>

ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საბჭოს თავმჯდომარის სამდივნო.

2. საკომუნიკაციო მისია და ხედვა

მისია: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს (საკომუნიკაციო) მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას და თემის პოპულარიზაციას როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორიაში. უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის წარმოებისას.

ხედვა: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო არის სანდო, გამჭვირვალე და კომპეტენტური ორგანო, რომელიც წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში და გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში მიღწეული პოზიტიური ცვლილებების სწორ და ეფექტიან კომუნიკაციაში.

3. კომუნიკაციის პრინციპები

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები თანხმდებიან, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ღირებულებები არის საბჭოს მუშაობის მთავარი საკომუნიკაციო პრინციპები. საბჭოს წევრები ამ პრინციპების ერთგულნი რჩებიან და მუშაობენ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით.


- **პროფესიონალიზმი და ანგარიშვალდებულება** - საზოგადოებისთვის პროფესიონალური, გადამოწმებული და სრულყოფილი ინფორმაციის დროული მიწოდება წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. სამიზნე ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე სწორად შერჩეული გზავნილები („მესიჯები“) და კომუნიკაციის არხები უზრუნველყოფს საბჭოს საკომუნიკაციო მიზნების ეფექტიან განხორციელებას.
- **ღიაობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა** - აუცილებელია ღია და გამჭვირვალე დიალოგის წარმოება საზოგადოებასთან. მოსახლეობასთან გახსნილი და გამჭვირვალე კომუნიკაცია საზოგადოების ნდობის მოპოვების და ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.
- **გენდერული თანასწორობის თემის მნიშვნელობის გაცნობიერება და მხარდაჭერა** - გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობა და წევრები აცნობიერებენ მათ მნიშვნელოვან როლს და მისიას, ხელი შეუწყონ გენდერული თანასწორობის თემის პოპულარიზაციას საზოგადოების ყველა სამიზნე ჯგუფში და პოზიტიური განწყობის დამკვიდრებას სწორი გზავნილებისა და კომუნიკაციის წარმოებით.
- **სტრატეგიული დაგეგმარება და მიდგომა** - გენდერული საბჭოს საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია თემისადმი

სტრატეგიული მიდგომა, მათ შორის გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოება და ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების (ადამიანური, ფინანსური) ეფექტიანი გამოყენება.

- **კოორდინირებული მუშაობა** - აუცილებელია შიდა კოორდინაციის მაღალ დონეზე უზრუნველყოფა. საზოგადოებასთან წარმატებული ურთიერთობა ხშირად და მოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კოორდინირებულად ხორციელდება საქმიანობა შიდა სტრუქტურებს, დეპარტამენტებს, კომიტეტებს, თანამშრომლებსა და სხვა ერთეულებს შორის.
- **ინოვაციურობა და შემოქმედებითობა** - ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით ფართო მოსახლეობის, დაინტერესებული მხარეებისა და ინტერეს-ჯგუფების მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4. მთავარი ამოცანები

არსებული მიდგომარეობის შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის შემდეგი მთავარი ამოცანები:



5. სამიზნე აუდიტორია და საკომუნიკაციო არხები

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, მისი ინსტიტუციური მნიშვნელობიდან და მანდატიდან გამომდინარე, საკმაოდ ფართო შიდა და გარე აუდიტორია ჰყავს. ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის წარმართვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის სწორად განისაზღვროს საკომუნიკაციო არხი/არხები.

გარე და შიდა მთავარ სამიზნე აუდიტორიას და საკომუნიკაციო არხებს წარმოადგენს:

გარე აუდიტორია	შიდა აუდიტორია	საკომუნიკაციო არხები
<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობა • მედია და საგანმანათლებლო ინსტიტუტები • უცხოელი პარტნიორები • ინტერესთა ჯგუფები • მთავრობა, უწყებათშორისი კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობა, გენდერული საბჭოები საკრებულოებში, გენდერული მრჩეველები გამგეობებში, პრეზიდენტი/ადმინისტრაცია, სახალხო დამცველი/აპარატი, სასამართლო, სხვ. 	<ul style="list-style-type: none"> • პარლამენტის წევრები • პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობა და შესაბამისი თანამშრომლები • საბჭოსთან მომუშავე დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები, პროექტები • პარლამენტის სხვა საბჭოები და მასთან არსებული ჯგუფები 	<ul style="list-style-type: none"> • ტელე, რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედია • ვებგვერდი • სოციალური მედია • პირდაპირი კომუნიკაცია • ღონისძიებები • პუბლიკაციები • ელექტრონული კომუნიკაცია • თემატური კამპანიები • საკოორდინაციო შეხვედრები

6. მთავარი თემები



ძალადობა

- შევიწროება, სექსუალური შევიწროება
- ოჯახში ძალადობა (ფემიციდი)
- ადრეული ქორწინება



ქალთა პოლიტიკური გამლიერება

- დროებითი სპეციალური ზომები
- ქალთა სრულუფლებიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში



ქალთა ეკონომიკური როლის გამლიერება

- დასაქმება (მმართველი რგოლი)
- სოფლის მეურნეობა
- თანაბარი ანაზღაურება
- შრომითი უფლებები (დისკრიმინაცია, კერძო სექტორში დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, მამის დეკრეტული შვებულების საკითხი, დასაქმებაზე უარის თქმის დასაბუთება, ზეგანაკვეთური შრომის დარეგულირება, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება, განცხადებები არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას).



მშვიდობა და უსაფრთხოება

- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონები, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები: ცნობიერების ამაღლება გოგონათა და ქალთა მიმართ ძალადობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ეკონომიკური და პოლიტიკური გამლიერების შესახებ



იდენტობა

გენდერული იდენტობა



განათლება/ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე

- დისკრიმინაცია, დისკრიმინაციის ფორმები
- გენდერული იდენტობა
- ძალადობა, შევიწროება, სექსუალური შევიწროება
- შრომითი უფლებები
- ადრეული ქორწინება
- რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ქალის ჯანმრთელობა
- მშობლის უფლებები

7. მთავარი აქტივობები

ამოცანა 1

• საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პოზიტიური იმიჯის დამკვიდრება შიდა და გარე აუდიტორიაში

- საბჭოს საიმიჯო ვიზუალის შექმნა
- პუბლიკაციების (ელექტრონული და ბეჭდური) შექმნა და გავრცელება
- მედია გაშუქების უზრუნველყოფა
- საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალის (ელექტრონული, ბეჭდური, ციფრული) შექმნა და გავრცელება
- მარკეტინგული საკომუნიკაციო მასალის შექმნა და გავრცელება
- ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება
 - საერთაშორისო დღეების აღნიშვნა/მონაწილეობა
 - მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის დაგეგმვა და ორგანიზება
 - პარლამენტების დონეზე რეგიონული ფორუმის დაგეგმვა და ორგანიზება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) მონაწილეობით
 - ადგილობრივი ფორუმის დაგეგმვა და ორგანიზება გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ყველა უწყების მონაწილეობით
 - წლიური ანგარიშის პრეზენტაცია
- სოციალური მედია არხების შექმნა და მართვა
 - საბჭოს Facebook-ის გვერდი
 - საბჭოს YouTube-ის გვერდი
 - საბჭოს Instagram-ის გვერდი

ამოცანა 2

• საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საბჭოს მთავარ თემებზე და მათი პოპულარიზაცია

- თემატური პუბლიკაციების (ელექტრონული და ბეჭდური) შექმნა და გავრცელება
- თემატური საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების (ელექტრონული, ციფრული, ბეჭდური) შექმნა და გავრცელება
 - თემატური სტატიები, ბლოგები, ინტერვიუები, ინფოგრაფიკები, ვიდეოები, ფოტოკოლაჟები და სხვა მასალები
- თემატური შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობასთან
 - საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან
 - განხილვები რეგიონებში - მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და მაღალმთიან რაიონებში.

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება
- საგანმანათლებლო ღონისძიებები
 - საჯარო ლექციების ციკლის დაგეგმვა და ორგანიზება
 - მედია სემინარები
 - სემინარები პროფესორ-მასწავლებლებისთვის
- ყოველწლიური კონკურსი ახალგაზრდებისთვის
- ყოველწლიური კონკურსი მედიისთვის
- საუნივერსიტეტო კონფერენცია
- გენდერული თანასწორობის ელექტრონული ვებპორტალის შექმნა

ამოცანა 3 • შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება

- ღონისძიებების ელექტრონული კალენდრის შექმნა და გავრცელება
- გენდერული თანასწორობის კვირეული პარლამენტში
- თემატური „ლანჩონი“ (სადილი) მაღალი რანგის სტუმარების მონაწილეობით
- მრგვალი მაგიდის ფორმატის თემატური შეხვედრები
- სპეციალური ტრენინგების ორგანიზება

8. მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილია. მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი უზრუნველყოფს რესურსების სათანადო გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების მოპოვებას, ეფექტიანობას და დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში საჭირო ცვლილებების განსაზღვრას.

კომუნიკაციის სტრატეგია ცოცხალი დოკუმენტია და მისი გადახედვა და განახლება უნდა მოხდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგზე გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/თანამშრომელი.

სასურველია კომუნიკაციის სტრატეგიის აქტივობების განხორციელებამდე ჩატარდეს ან არსებობდეს საბაზისო კვლევა. ასეთი კვლევის არარსებობის შემთხვევაში საბაზისო მონაცემებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას არსებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები, მედიამონიტორინგის ანგარიშები, სოციალური მედიის სტატისტიკა და სხვა. შეფასების განსახორციელებლად ძირითადად გამოიყენება შემდეგი ტექნიკები:

- საბაზისო კვლევის ჩატარება (განხორციელების ადრეულ ეტაპზე);
- ფოკუს ჯგუფები (განხორციელების ადრეულ ეტაპზე);
- ინტერვიუები და ინტერესებულ პირებთან (განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე);
- საზოგადოებრივი აზრის კვლევების მონაცემების/შედეგების შედარება (განხორციელების შუა ან ბოლო ეტაპზე);
- საზოგადოების ჩართულობის დინამიკა;

- მედიამონიტორინგი - მაგ.: თემის გაშუქების დინამიკა, მთავარი გზავნილების „მესიჯების“ განმეორებადობა, მოსახლეობის წვდომის (reach) დინამიკა და ა.შ. (განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე);
- ონლაინ და სოციალური მედიის სტატისტიკური მონაცემების შედარება (განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე);
- დაინტერესებულ მხარეთა კომენტარები (განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე);
- სხვ.